საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ეროვნება

პარასკევი 11 თებერვალი 1921 წ.

ფასი 50 მანეთი

ქრონიკულ-ინფორმაციული ფურცელი

№ 32 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 32

გაზეთი ღირს თვეში 1200 მანეთი, ცალკე ნომერი მეოთხედ 50 მანეთი, განცხადების ფასი ერთ სტრიქონ რიგზე ჰეტიტის სტრიქონი 30 მანეთი, ბოლოს-ფურცელზე 20 მანეთი, ხანგრძლივიანი განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 1000 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება პრეობრაჟენის ქ. № 4, შესასვლელი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—78, კანტორის 14—62

სახალხო გვარდიის ტყვიის მფრქვეველთა ბატალიონის კომანდირი ბ. ბ. ოფიცერთა საზოგადოება და გვარდიელები აუწყებენ საზოგადოებას თოფ იარაღის გამგის ძვირფას ამხანაგ

არჩილ გუსარიონის ძე პეტრიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 8 თებერვალს სახ. გვარდიის ლაზარეთში. (544 1—1).

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ მეომართა ობლების სრულ აღწერას რისთვისაც საჭიროა

ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისათვის, გარდა ზუგდიდისა. ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40,000 მან. წარმოდგენილ უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიაც ის მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს კავშირის ბინაზე ყოველ დღე ქ. თფილისში, ჰოლეხინოვის პრ. № 139, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

(ნ. 14—9) გამგეობა.

განცხადება.
მოქალაქეების სამინისტრო

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც სურს ჩამოიტანოს ხორბლეულობა სიღნაღის და თელავის მაზრებიდან, მიეცემა ნება მხოლოდ იმ შეთხვევაში, თუ გამოსატან ხორბლეულობის რაოდენობის ნახევარს მიჰყიდის მომარაგების სამინისტროს განსაზღვრულ ფასებში. ხორბლეულობის გამოტანა შეიძლება არა ნაკლებ 20 ფუთისა გამოსატან ხორბლეულობის ნახევარს მიიღებს სამინისტროს რწმუნებული: თელავში—კალანდარიშვილი, წნორის წყალში—თავდიდიშვილი და თფილისის სადგურზე სამინისტროს რწმუნებული.

ხორბლის გამომგზავნი, ვინც უკვე ჩაბარა ნახევარი ხორბლეული უნდა ჰქონდეს რწმუნებულისაგან მოწმობა მასში, რომელიც შემდეგში აქ ჩამოერთმევა და კიდევ მისივე მოწმობა დანარჩენ ხორბლეულობის დაუბრკოლებლივ გასატანათ.

ვისაც მოწმობა არ აქვს, მას შეუძლიან მთელი თავისი ხორბლეული გამოგზავნოს მახლობელ სადგურიდან, მხოლოდ თფილისში, მომარაგების სამინისტროს სახელზე და აქ, თფილისის სადგურზე, ნახევარს ჩაბარებს სამინისტროს რწმუნებულს და დანარჩენს რწმუნებულის მოწმობის ძალით დაუბრკოლებლივ წაიღებს თვითონ.

ჩაბარებულ ხორბლეულობის საფასურს მიიღებს ნაღდათ რკინის გზის გადმოსატან ხარჯის დამატებით მომარაგების სამინისტროს სალაროში. მსურველთ შეუძლიანთ სამი მეოთხედი ჩაბარებულ ხორბლეულობის საფასურისა მიიღონ ნაღდათ და დანარჩენი საფასურის ანგარიშში წაიღონ მომარაგების სამინისტროს საწყობიდან სხვადასხვა ნივთები: რკინა, თოლები, ჭურჭელი, ლურსმანი და სხვა. (ნ. 5—2)

მუშათა მაგიდა

აცხადებს, ყველა დაწესებულება-წარმოებათა საყურადღებოთ, რომ დაწესებულებების გად ჯგუფება მოხდა ახალი ბარათული წესის შემოღებისთანავე და არავითარი ხელახალი გადაჯგუფება, ერთიდან მეორეში გადატან-გადმოტანა დაშვებული არ იქნება. ამისათვის ამ მიზნით შემოსული თხოვნა-განცხადებანი დატოვებულია უყურადღებოთ.

(ნ. 3—2) მუშათა მაგიდის გამგე ვ. ფერაძე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის მაზრის ორგანიზაციებს

შაბათს, 12 თებერვალს საღამოს 5 საათზე ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია ქუთაისის მაზრის

სოციალ-დემოკრატიული
კონფერენცია

კონფერენციისათვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი.
2. პარტიული კონფერენციის დადგენილებანი.
3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა.
4. „ სარევიზიო კომისიისა.
5. „ სამაზრო ერობის მუშაობის შესახებ.
6. პარტიული მუშაობა.
7. მომავალი არჩევნების სამზადისი.
8. გაზეთი.
9. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
10. მიმდინარე საკითხები.

აღგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითოს ყოველ ორას წევრზე. უფლება ეძლევა კონფერენციაზე ერთი დელეგატის გამოგზავნის იმ შემთხვევაშიც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი ორგანიზაციაში ორასზე ნაკლები ითვლება. დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაციები იმუშავებს.

ქუთ. სამაზრო კომიტეტი საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

(ნ. 6—6)

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 11 თებერვალს

ფაისი

შაბათს, 12 თებერვალს ოპერა მუშებისათვისლალატი. კვირას, 13 თებერვალს დილით ბავშვების დილა კოკელია. ორშაბათს, 14 თებერვალს განახლებით პირველად ბაშვენოტი, დასაწყისი სრულ 8 ს. (ნ. 1—1)

განცხადება

ვაცხადებთ ბითუმათ და ნაჭრობით ყველა მოვაჭრეთა საყურადღებოთ

რომ რამოდენიმე დღის შემდეგ ერთი უდიდესი იტალიური ფირმა

ასკარელლი და კომპ.

ხსნის ქ. თფილისში (ადგილი შემდეგ განცხადებაში იქნება ნაჩვენები)

მანუფაქტურით დიდ ვაჭრობას,

სადაც შეიძლება მაგალითეულის, ღითეულობის და მაუდის შერჩევა.

მატერიები არის უმაღლესი ხარისხისა საუკეთესოთ და ლამაზათ ნაწარმოები.

შემდეგ განცხადებაში იქნება აგრეთვე აღნიშნული თუ რა დღეებში იწარმოებს ნაჭრობით ვაჭრობა.

ერთის საინისტროს განცხადება

მუშათა მაგიდის წინასწარ გამოანგარიშებით დეფიციტი ა. წ. თებერვალში თვიერულ ზუშა მოსამსახურეზე გათვალისწინებულია ათი ათასი (10 000) მან.

ყველა კერძო და საზოგადო დაწესებულებანი და წარმოებანი, რომელნიც მუშათა მაგიდიდან თებერვალში ღებულობდენ სურსათ-სანოვაგეს ვალდებულნი არიან შეიტანონ 20 თებერვლამდე აღნიშნული თანხა დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის მიხედვით, მუშათა მაგიდის სალაროში.

წარმოებათ და დაწესებულებათ, რომელთაც თებერვალში რამოდენიმე დღის განმავლობაში არ მიეღოთ პური, შეუძლიათ უფლის შეტანის დროს გ. ნაცხადონ ზედმეტ შეტანილ თანხის მომავალ დეფიციტის ანგარიშში გადარიცხვის შესახებ.

დედანს ხელს აწერენ:

შრომის მინისტრის ამხანაგი ალ. ბახტაძე.

საქმეთა გამმართველი [illegible]. (ნ. 2—1)

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

სამაზრო საეროგო უფლებების ხმა სანთა არჩევნები მაზრაში დანიშნულია მიმდ ნარე წლის 6 მარტს.

მაზრა გაყოფილია, სან საარჩევნო ოლქათ: ოზურგეთის, ჩოხატაურის, და ლანჩხუთის ოლქებათ, ქალაქი ოზურგეთი, თანახმად დროებითი საერობო დებულების დამატებისა წარმოადგენს ცალკე ოლქს.

საარჩევნო უბნათ აღიარებული თემი, ხოლო ტერიტორიით ფართო და გეოგრაფიული მდგომარეობით განსაკუთრებულ პირობებში მყოფ თემებში საარჩევნო უბნები, გარდა თემის ცენტრისა, დაიდგმება ზოგიერთ შორეულ სოფლებშიდაც.

საარჩევნო სიები უკვე შედგენილი და გამოქვეყნებულია თემის გამგეობებში.

საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებათ დანიშნულნი არიან: ოზურგეთის ოლქში—ერობის ხმოსანი ივანე ღლონტი, ჩოხატაურისაში—ერ. ხმოსანი—აფთონ ციხლაძე და ლანჩხუთისაში—ერ. ხმ. ნიკოლოზ წილოსანი.

(ნ. 3—1) ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა.

სახელმწიფო დრამის თეატრი

შაბათს, თებერვლის 12 ს. ყველაზედ

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კვირას, თებერვლის 13-ს

ყველაზედ **აღლუმი** ყველაზედ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

ახალის ცალახით

ხანგრძლივ

ექიმ

მ. ს ზერნოვისა

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თებ.)

საქართველოს ცხოვრება და საგარეო რუსეთი

საქართველოს იურიდიულად ცნობას უდიდესი და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. იგი როგორც პირდაპირ, ისე არა-პირდაპირ გავლენას იქონიებს ჩვენს საშინაო და საგარეო საქმეებზე. როგორც მტერი, ისე მოყვარე ანგარიშს გაუწევენ ამ ფაქტს; უფრო ნორმალურ, წესიერ კალაჰოტში ჩადგება საქართველოს ურთიერთობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც მის იურიდიულად ცნობამდისაც სიმპატიით უყურებდენ მას. მაგრამ შეუძლებელია, რომ ამ ცნობამ დიდი გავლენა არ მოახდინოს იმ სახელმწიფოებზედაც, რომლებთანაც საქართველოს არა აქვს მოგვარებული ურთიერთობა; შეუძლებელია, რომ ამ ფაქტმა ხელი არ შეუწყოს ამ ურთიერთობის მოგვარებას და მეტადრე ნინ არ წასწიოს ეს საქმე, რომლისადმი ინტერესებს იმის გამო, რომ ამ ცნობით განხორციელდა საქართველო რესპუბლიკის მეცხრამეტე მერ 4 წლის წინათ წამოყენებული ლოზუნგი ხალხის თვითგამორკვევის უფლებისა და ამასთან ერთად დამარცხდა „ლოზუნგი ერთიმთლიანი“ და „განუყოფელი შავი რუსეთის“ ალდგენისა“.

ბ. შეინმანმა ფრთხილ გარკვევით განაცხადა თავისი შეხედულება საქართველოს იურიდიულად ცნობაზე ლეგალურ საუბარში, რომელიც მას ჰქონდა გაზეთ „სლოვოს“ თანამშრომელთან. მან განაცხადა, რომ საქართველოს ცნობამ არ შეიძლება მეტი გარკვეულობა არ შეიტანოს მისს ურთიერთობაში საბჭოთა რესპუბლიკებთან. ამ უკანასკნელთათვის, მეტადრე კი საბჭოთა რუსეთისათვის, ხელსაყრელია იმისთანა სახელმწიფოს არსებობა, როგორიც არის საქართველო: „საბჭოთა რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველომ რაც შეძლება მალე განმტკიცოს თავისი მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს ჩვენთვის მეტადრე იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს საშუალებით ჩვენ შეგვძლებთ ავ ჭკო კავშირი დავ ჭიროთ ევროპასთან და „ამერიკასთან“. რომ საბჭოთა რუსეთისათვის ხელსაყრელია საქართველოს სახელმწიფოებრივი განმტკიცება, ეს თავიდანვე იმდენათ ცხადი იყო, რომ ამის დასამტკიცებლად სრულიადაც საჭირო არ იყო საქართველოს იურიდიული ცნობა. მაგრამ ეს ვინ არის, რომ ამ ფაქტმა უნდა მეტი გარკვეულობა შეიტანოს საბჭოთა რუსეთის მესვეურთა მიერ ამ მნიშვნელობის შეგნებაში. სანამ საქართველო არ იყო იურიდიულად აღიარებული, დიდი სახელმწიფოები მოვალეთ ვერ სთვლიდენ თავს მას მიეპყრობოდნენ ისე, როგორც ხელშეუხებელს სახელმწიფოს, რომლის უფლებების შელახვა შეუძლებელი და დაუშვებელია, თუ კი შელახვას მოითხოვს დიდი სახელმწიფოს სტრატეგიული ან სხვა რაიმე ინტერესები. საქართველოს იურიდიულ ცნობას იგი შეჰყავს მსოფლიო სახელმწიფოთა წრეში და მას ისეთსავე უფლებებს ანიჭებს, როგორითაც არიან აღჭურვილნი სახელმწიფოები; ამიერიდან საქართველო ფორმალურად თანაწორუფლებიანია უდიდეს სახელმწიფოებთან. საქართველოს უფლებებისა გათვალა საერთაშორისო ზომის საკითხია; რაც უნდა პაწია და სუტი იყოს საქართველო, მის უფლებების შელახვას ისეთივე პრინციპიალური მნიშვნელობა ექნება, როგორიც აქვს ინგლისის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოს უფლებების შელახვას. საბჭოთა რუსეთისათვის ამას არ შეიძლება დიდი გავლენა არ ჰქონდეს: იგი აქამდის სულ იმ მიზეზიანობაში იყო, ვითომც საქართველოს ტერიტორიას გამოიყენებდა ვ-ხმე საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის მიზნით. გავიხ ენოთ თუნდაც ის ალიაქოთი, რომელიც საბჭოთა რუსეთის მესვეურთ ასტეხეს ამ ორი-სამი თვის წინათ ბათომის გარშემო. ამიერიდან ამნაირი მიზეზიანობის საბუთი საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელთ ხელიდან ეცლებათ.

ამ გარემოებას აღიარებს ბ. შეინმანიც. „საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის შეტაკების მრავალ საბაბებს შობდა ის გარემოება, რომ ანტანტის ძლიერი სახელმწიფონი თავის თავზეაღებულ სიძულვილის გამო საბჭოთა რუსეთის მიმართ და თავისი განუსაზღვრელი სურვილის გამო, რომ რაიმე ზიანი მიაყენონ საბჭოთა რუსეთს, იმის წინაშეც არ ჩერდებოდენ, რომ რუსეთისათვის ხაზინათ მოქმედებანი ხაქართველოს ტერიტორიაზე და წყლებზე ეწარმოებინათ“.

თეით ბ. შეინმანს გარკვევით შეგნებული აქვს, რომ „საქართველოს იურიდიულად ცნობასთან ერთად საბჭოთა რუსეთის ინტერესების და მისი ღირსების დაცვა საქართველოში ბევრად უფრო მეტათ იქნება უზრუნველყოფილი, ვიდრე მანამდის“.

მაშასადამე, საქართველოს იურიდიულად ცნობა ულიდეს მნიშვნელობას იქონიებს საბჭოთა რუსეთის სულიერ განწყობილებაზე. ეს ცნობა საბჭოთა რუსეთს არა მევს ეკონომიურობის და ნერვიანობის ყოველს საბუთს და ამან არ შეიძლება დიდი ნაყოფი არ გამოიღოს საქართველოს და საბჭოთა სახელმწიფოების ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების საქმეში.

მძიმე ფრილოგა

არასოდეს ასეთი მძიმე ჭეილობა ჩემთვის არავის მოუყენებია!

არასოდეს ასეთი დიდი პოლიტიკური გულის ტკივილი არ მიგრძვნია!

არასოდეს ჩემი პარტიული პატრიოტიზმი არ შელახულა!

ჩვენს პარტიას ბევრი თავდასხმა მოუკერებია, ბევრი ტანჯვა-ვაება უგემია, ბევრი იერიშები უნახავს თვითმპყრობელობის დამაშებისაგან.

ჩვენს პარტიას ბევრი მტერი ჰყოლია და ჰყავს და მათგან ბევრი შეურაცყოფა უნახავს.

ჩვენს პარტიას შიგნითაც გასჩენია მოღალატენი, რენეგატები.

მაგრამ ჩვენი ციხე შიგნიდან ჯერ არ გატეხილა.

ყოველთვის, როდესაც კი ჩვენს პარტიას მოადგებოდენ და მის შელახვას, დანგრევას და გაქანგურებას მოიწადინებდენ, მე მხიარული ვყოფილვარ, არასოდეს გული არ გამტეხია და პოლიტიკური გულის ტკივილი არ მიგრძვნია. არ შელახულა ჩემი პარტიული პატრიოტიზმი იმიტომ, რომ პარტია მთლიანი იყო და მთლიანი რჩებოდა. ეს მთლიანობა არ ირღვევოდა არც მაშინ, როდესაც მას ესა თუ ის წევრი, ესა თუ ის რენეგატი ჩამოშორდებოდა და მოწინააღ ბანაკში გადადგებოდა. ასეთი წევრები, ასეთი რენეგატები პარტიას ცილდებოდენ და პარტიის გარეშე მუშაობას იწყებდენ.

და ასეთ შემთხვევებში მე არ ვფიქრობდი: ეს წევრი გაიქცა პარტიას, რადგან ის უკანასკნელის მიმართულებას არ იზიარებს. ეს რენეგატი სხვაგან გადადგებოდა, რადგან პარტიამ ის მატერიალურად ვერ დააკმაყოფილა ან და მისი პირადობა ისე დიდათ ვერ დააფასა, როგორც ეს მას სურდა.

ეს წევრი პარტიიდან იმიტომ წავიდა, რომ მან ვერ ითანა მკაცრი და ფოლადისებური პარტიული დისციპლინა.

ასე ვფიქრობდი მე მაშინ.

ახლა კი ჩემში შეურაცყოფილია პარტიული პატრიოტიზმი.

პარტიაში დარჩენა და პარტიის წინააღმდეგ მუშაობა!

პარტიული საარჩევნო ბიუროები

ამხანაგების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ პარტიის წევრებს და თანამგრძნობთ საქალაქო არჩევნების შესახებ შეუძლიათ მიიღონ ყოველგვარი ცნობა და დარიგება შემდეგ პარტიულ საარჩევნო ბიუროებში.

1. ცენტრალური ბიურო მისამართი: თფილისის კომიტეტის ბინა, ერთობის ქუჩა № 4 ბიურო ღია დილის 9—1 საათ. და საღამოს 6—10 საათამდე

2, პირველი რაიონის ბიურო. ნაძალადევი, თეატრი დილის 9—1 საათ და საღამოს 5—9 საათ.

3. მეორე რაიონი. სახალხო სახლი დილის 9—1 საათ. და საღ. 5—9 საათამდე.

4. მესამე რაიონის ბიურო. კახეთის მოედანი № 1: დილის 9—1 საათ საღამოს 5 9 საათ.

5. მეოთხე რაიონის ბიურო. ვერის მუშათა კლუბი, ოლღას ქუჩა № 29. დილის 9—1 საათ. საღამოს 5—9 საათ.

6. მეხუთე რაიონის ბიურო. ნავთლუღი, კახეთის სადგური, დილის 9—1 საათ. საღ. 5—9 საათ.

7. მეექვსე რაიონის ბიურო. ბებუთოვის ქუჩა № 22. დილის 9—1 საათ. საღ. 5—9 საათ.

8. მეშვიდე რაიონის ბიურო. ნავთლუღის სახალხო გვარდიის შტაბი. დილის 9—1 საათ საღ. 5—9 საათამდე.

პარტიაში დარჩენა და პარტიის წინააღმდეგ ამბოხების მოხდენა!

პარტიაში დარჩენა და პარტიის წინაშე ღალატი.

ეს იგივეა, რაც სამშობლოში ყოფნა და სამშობლოს ღალატი.

მოქალაქეს შეუძლია სამშობლოს ვერ შეეგუოს და მისი საზღვრები დასტოვოს; მოქალაქეს შეუძლია სამშობლოს კანონები და წესები არ მოიწონოს და ისეთი სახელმწიფო აირჩიოს საცხოვრებლათ, რომლის კანონები და წესები მას მოეწონება. და თუ ის ამას აშკარად მოიმოქმედებს, ის მოღალატედ არ ჩაითვლება.

მაგრამ სამშობლოში ცხოვრება და მის წინააღმდეგ ურჩობა, მოღვაწეობა და ამბოხება,—ეს მოღალატეობა იქნება და ასეთი მოქალაქე მოღალატის სახელით უნდა მოინათლოს.

და როდესაც მე დავრწმუნდი, რომ პარტიაში გაჩნდა ერთი ჯგუფი მოღალატეებისა, როდესაც ჩემთვის აშკარა შეიქმნა, რომ მთელი ჯგუფი პარტიის წევრებისა პარტიას ღალატობენ, ე. ი. პარტიაში რჩებიან და მის წინააღმდეგ კი ამბოხებას ახდენენ, მას გააფთრებულად თავს ესხმიან და მტრების წისქვილზე უხვად წყალს ასხამენ, ჩემში გაიღვიძა პარტიულმა პატრიოტულმა გრძნობამ და გულისფანცქალით ვუცდიდი, რა ნაბიჯს გადადგამდა ამ ჯგუფის წინააღმდეგ ჩვენი პარტია, რა ზომებს მიიღებდა ის ასეთი ანტიპარტიული მოქმედების მოსასპობად და ასალგამაგად, და იანვრის პარტიულმა კონფერენციამ და ცენტრ. კომიტეტმა მე სრულიად დამაკმაყოფილა.

მართლაც, განა შესაძლებელია პარტიის წევრმა, რომელსაც პარტიის ჭირი და ლხინი გაზიარებული აქვს, რომელიც პარტიასთან შესისხლხორცებულია რომელსაც პარტიაზე ამაგი მიუძღვის, რომელსაც მისთვის ენერგია, ნერვები, ოფლი და სისხლი შეუწირავს და მასთან ერთად გაუვლია ის დიდი და ეკლიანი გზა, რომელიც გაიარა ამ მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ჩვენმა პარტიამ, განა, ვკითხულობ მე, შესაძლებელია ასეთმა პარტიის წევრმა პარტიის წინააღმდეგ ისე გაილაშქროს, როგორც „ახ. სხივმა“ გაილაშქრა?!

ამ კრიტიკის უფლებით თავის მართლება შეუძლებელია, კრიტიკა თვით პარტიაში დასაშვებია და აკრძალულიც არ არის. პარტიის ყოველ წევრს შეუძლია თვით პარტიის ფარგლებში, ოთხკედლშეა მეუბნოთოს როგორც თვით მთელი პარტიის შემცდარ მოქმედებაზე, ისე პარტიის წევრების, თუ გინდ თვით მის ბელადების ნაკლულოვანებაზე; ყველას შეუძლია ასეთი კრიტიკა, კრიტიკა მკაცრი და შეუბრალებელი, აწარმოოს და შეიცადოს თავისი აზრის გაყვანას. ხხოლოდ როდესაც ის უმცირესობაში დარჩება, მას ორი გზა დარჩენია: ან პარტია უნდა დასტოვოს ან უმრავლესობის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. პარტიაში დარჩენა და მასზედ თავდასხმა ყოვლად შეუწყნარებელია.

და როდესაც მე „ახ. სხივის“ უკანასკნელ ნომრებს ვკითხულობდი, როდესაც მე კირილე ნინიძის ორ უკანასკნელ სიტყვას, დამფუძნებელ კრებაში თქმულს, გავეცანი (ბინის საკითხი და ჩხიკვიშვილ-ნუკუბიძის ინცინდენტი) მე ვთქვი: კირილე ნინიძე პარტიის წევრად ვეღარ დარჩება. ან მისი პარტიის წევრობა პარტიის შეურაცყოფა არის მეთქი.

საქმე იმაში კი არ არის, რომ ერთი მხრით დგანან ჟორდანია-რამიშვილები და მეორე მხრით ხოკოლავა-ფირცხალაიშვილები. მე კერპები არასოდეს არ მყოლია და უკოდველ რომის პაპად არავინ მიგულებია. საქმე, არამედ იმაშია, რომ ერთის მხრით დადგა მთელი პარტია, მისი დიდი უმრავლესობის სახით და მეორეს მხრით პაწია ჯგუფი „სხიველები“ მათი პარტიაზე თავდასხმით და ისიც ისეთ დროს, როდესაც შიგნით ყველა არა სოციალ-დემოკრატი, ყველა ერ.-დემოკრატები, ფედერალისტები, ს. რევოლიუციონერები ალყას გვარტყამენ და გარედან კომუნისტები განადგურებას უგვიქადიან. და როდესაც ასეთ დროს „სხიველებს“ ეერიშები მოაქვთ პარტიაზე, მე ამას აშკარად მოღალატეობა უნდა დავარქვა.

ყველამ რომ თავის გულისთქმას აჰყვეს, ყველამ რომ მოინდომოს მაინცდამაინც თავისი გაიტანოს, ყველამ რომ მოისურვოს გულის მოფხანა, მაშინ ჩვენ ერთ მთლიან პარტიასთან კი არ გვექნება საქმე, არამედ ჩვენ შეგვრჩება ხელში ადამიანთა გროვა, გროვა უერთმიზნო, უდისციპლინო. მაშინ ჩვენ ვერ გაუძლებთ არამც თუ მთელ ჩვენ წინააღმდეგ შეერთებულ ძალებს და მათ ეერიშებს, არამედ ჩვენ უძლურნი ვიქნებით შევებრძოლოდ რომელიმე ერთ ეერიშს.

ეს კარგათ უნდა სცოდნოდათ „სხიველებს“, მაგრამ ეს მათ ვერ შეიგნეს და ამიტომაც იგინი პარტიამ პარ ოის გარეშე დასტოვა და, მე ვფიქრობ, ძალით მან ბევრი ჭირლობა, გულის-ტკივილი და შელახული პარტიული პატრიოტიზმი გაამართლა და აღადგინა.

„სხიველების“ პარტიის გარეშე დაყენებით პარტია ამაღლდა, განმტკიცდა და გაფოლადდა.

პარტიის ღალატი არავის ეპატიება.

იგ. ვე.

დამფუძნებელი კრება

8 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე აცნობებს დამფუძნებელ კრებას რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე ხელოუფლიშვილის გარდაცვალებას და მოკლეთ ახასიათებს განსვენებულის მოღვაწეობას და პირად თვისებებს. განსვენებული ხელოუფლიშვილი,—ამბობს თავმჯდომარე,—ეკუთვნოდა მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელიც ოთხმოცდა ათიან წლებში გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე. ჩუმი, მაგრამ მეტად ნაყოფიერი მოღვაწე იყო. მან თავისი წვლილი შეტანა ჩვენი ერის გათვითცნობიერების საქმეში. განსვენებულს, როგორც იურისტს ბადალი არ ჰყავდა კავკასიაში. და სრულიად მიზანშეწონილი იყო, როცა დამფუძნებელმა კრებამ ასეთ ადამიანს ჩაბარა რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარეობა, მაგრამ ბედმა არ არგუნა მას დიდხანს სდგომოდა სათავეში ამ დაწესებულებას. ალსანიშნავია განსვენებულის პირადი თვისებებიც: უწყალო, ღრმა კეთილშობილება და უდიდესი პატივისცემა ადამიანისადმი. აი რა ახასიათებდა მას. აი ასეთი პიროვნება დაჰკარგა ქართველმა საზოგადოებამ და გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ განსვენებულის ხსოვნას.

დამფუძნებელმა კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

შემდეგ მიღებულ იქნა წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტთა საბოლოო ტექსტი.

გრძელდება მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობაში მომხდარ ცვლილების შესახებ.

ივ. ლორთქიფანიძე (ს. რ.) აღნიშნავს: ჩვენი მთავარი დებულება, რომელიც წარმოვადგინეთ მთავრობის საწინააღმდეგოთ, იყოს ის, რომ მთავრობა უპასუხისმგებლოა. სხვა რომ არ იყოს, თვით ის კამათიც, რომელიც მთავრობის განცხადების გამო სწარმოებს, ამტკიცებს, რომ ჩვენ არა გვყავს პასუხისმგებელი მთავრობა. ორ თვენახევარია, რაც ეს კამათი გრძელდება და მთავრობას ამ ხნის განმავლობაში არ მიუღია დამფუძნებელი კრების დასტური, მან არ დააყენა ნდობის საკითხი. ამას თუ დავუმატებთ იმ ახალ „რაზმელაჩენიებს“, რომელსაც „ახალი სხივი“ აკეთებს (ნ. რამიშვილი: ოო!) მართალია, ეს თქვენ არ მოგწონთ, მაგრამ ფაქტია, რომ თქვენი პარტია ჩინგრევა და რაც უფრო ადრე დასრულდება ეს პროცესი, მით უკეთესია, მაშინ აშენდება ჩვენი სახელმწიფო (სიცილი, ხმები: თქვენი აშენებული სახელმწიფო რაღა იქნება?).

ორატორი ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამბობს: ბ. რამიშვილი არც პრესის და არც დამფუძნებელი კრების საშუალებით ჩვენ არ გვატყობინებს, თუ რა ხდება რესპუბლიკის ამა თუ იმ მაზრაში, რატომ არ გვეუბნებით 3 თვეში ერთხელ მაინც, თუ რა ხდება აფხაზეთში, ბათომის ოლქში, რა სულის კვეთებაა იქ და სხვ. შინაგან საქმეთა მინისტრი ემყარება მარტო რეპრესიულ ზომებზე, ალ ეთ თუ გნებავთ მოქალაქე წვერავას დატუსაღება, რომელიც იყო კლუბის მორიგი გამგე. ის დაატუსაღეს სტუდენტთა სალამოს 26 იანვარს და განსაკუთრებულ რაზზეში გაგზავნეს, იქ კი გაახთავისუფლეს, განა დასაშვებია ეს? განა და აშკარაა თე ტრის დაბეჭვა? ალ ეთ თუ გნებავთ მინების საკითხი, ჩვენში ამ მხრივ დიდი კრიზისია მაშ ნ, როდესაც ერთ ან ორ სულს 7—8 ოთახი უჭირავს. თქვენ ყველამ იცით, რომ ერთ ერთ ქუჩაზე ლარინსკის ქალს უჭირავს სახლი, იქ 7—8 ოთახში სუფევს მორევი გარყვნილებისა (ვ. თავზაია და სხვები ადგილიდან: ჩვენ არაფერი ვიცით, თქვენ კი გცოდნიათ). ყოველ შემთხვევაში, ეს იციან მილიციის აგენტებმა.

(ვ. ჯუღელი: თქვენ იქ დადიხართ?) არა, მაგრამ ნუ დამასახელებინებთ სტუმრების ვვარებს.

თავმჯდომარე: ბ. ორატორო თავი დაანებეთ მაგის შესახებ ლაპარაკს, ილაპარაკეთ საგანზე.

ლორთქიფანიძე. ამიტომ საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრმა მეტი ყურადღება მიაქციოს შინაგან საქმეებს.

შემდეგ ორატორი ეხება იუსტიციის მინისტრის მოქმედებას და დაასკვნის, რომ იუსტიციის მინისტრი იმას აკეთებს, რაც მას მოეპრიანება, ის ერევა სასამართლოს საქმეებში მაშინ, როცა ეს საჭირო არ არისო.

ტერ-სტეფანიანმა (დაშნაკ) აღნიშნა, რომ თემი, ქალაქი და ერობა თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებენ და ხშირად არავითარ ანგარიშს არ უწევენ საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, არ ემორჩილებიან ცენტრის განკარგულებას. მაგ. სიღნაღში ადგილობრივმა გვარდიის შტაბმა დაიკავა სკოლის შენობა, ამის შესახებ მე მოვახსენე შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს, მან მოახდინა განკარგულება, მაგრამ ის სისრულეში არ იქნა მოყვანილი.

ნ. რამიშვილი. (შინაგან საქ. მინისტრი). დამფუძნებელი კრების წევრნო! აქ თქვენ გელაპარაკეს მთავრობის უპასუხისმგებლობის შესახებ და საბუთად ის მოიყვანეს, რომ აი ორი თვენახევარი, რაც კამათი გრძელდება მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობაში მოხდარ ცვლილებების შესახებ და ამის შემდგ მთავრობას დღესაც არ აქვს ნდობა მიღებული დამფუძნებელი კრებისაგანო.

მე ვფიქრობ, რომ დამფუძნებელი კრების ყველა დეპუტატებმა კარგათ იცის, თუ როგორ ხდება სხვა ქვეყნების პარლამენტში მთავრობის გამოსვლის აწონ-დაწონვა. ის, რაც ჩვენში ხდება, არ მომხდარა ევროპის არც ერთ პარლამენტში. თქვენ იცით, რომ ამ კითხვის შესახებ არა თუ არ ყოფილა ისეთი ფრაქცია, რომელსაც აო გამოეთქვას თავისი აზრი, არამედ—ზოგიერთი ფრაქციდან სამმა ორატორმა ილაპარაკა. მართალია, ევროპაში ხდება დიდი ღღეები, მაგრამ იქ იციან მთავრობის მოქმედების პოლიტიკური აწონ-დაწონვა და არა ქუჩაში გაგონილი ჭორების ტრიბუნაზე გამოტანა. იქ ერთ ან ორ სხდომაზე სავ ებით ამოწურავენ ასეთ პოლიტიკურ საკითხებს. და ჭორებზე არ ახურავენენ პოლიტიკურ საკითხებს, როგორც ამას ჩვენი ოპოზიცია სჩადის. ამ რიგათ, ოპოზიციამ, და განსაკუთრებით ფედერალისტების ფრაქციამ, ეს მთავარი საკითხი, პოლიტიკური მხარე, მიაფუჩეჩეს და ამით კაბათს თავისი მნიშვნელობა დაუკარგეს. ოპოზიციამ ძალიან კარგად იცის, რომ მთავრობაში მომხდარ ცვლილების შესახებ უმრავლესობის ფრაქციამ უკვე გამოიტანა თავისი მსჯავრი, დადგენილება და ეს დადგენილება დამფუძ. კრებამაც უნდა მიიღოს, მაგრამ ესენი მაინც აწარმოებენ დაუსრულებელ კამათს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ უკვე მოახლოვებულია სეპარლამენტო არჩევნები და მათ სურთ პარტიული კაპიტალის შექმნა. ლორთქიფანიძემ აქ განაცხადა, რომ უპასუხისმგებლობას ისიც ამტკიცებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ყოველ 3 თვეში არ გვაკეთებს მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა ხდება ამა თუ იმ მაზრაში. მე ვეკითხები ბ. ლორთქიფანიძეს: რომელ პარლამენტშია ასეთი წესი მოღებული? თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ პარლამენტს, სადაც ასეთი წესი იყოს მიღებული.

ზუგდიდის მაზრა ახსენეს. მე მგონია, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან „გაბედულია“ სოც. რევოლიუციონერთა ფრაქცია, მაინც ვერ დაასახელებს იმ მაზრებს, სადაც მათ ფეხი მოიტეხეს. მაშინ, როცა იქ სოციალ რევოლიუციონერები ბატონობდნენ ძარცვა-გლეჯა იყო. (ხმები: მართალია!) დღეს კი იმ მაზრებში ყაჩაღთა რიცხვი საგრძნობლად შემცირებულია. არასოდეს, თვით მეფის მთავრობის დროსაც არ ყოფილა ზუგდიდის მაზრაში ისეთი მცირე რიცხვი ყაჩაღთა, როგორც ამ ჟამად არის? სხვათა შორის, ბათომზედაც იყო აქ ლაპარაკი. მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან ცოტა ხანია, რაც ბათომი ჩავიბარეთ, იქ საქმეს გაუმჯობესობა ეტყობა. ამას უცხოეთის პრესაც აღნიშნავს.

შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ დანაშავე მოხელე თავის ადგილზე დაგვეტოვებინოს და პასუხისგებაში არ მიგვეცეს. ამის მაგალითს თქვენ ვერ დამისახელებთ. (ლ. შენგელაია: ალბუღახის კომისარი?) ბ. შენგელაია, ჭკუთხეთ, თქვენს ვვარდიო რომ ზის, ივანე გობეჩიას ამის შესახებ და ის გეტყვით. ალ ულახის კომისარის შესახებ ჩემთან მოვიდა ივანე გობეჩია და მე მაშინათვე გავიცა ბრძანება ამ კომისარის გადაყენების შესახებ. (შენგელაია: ის კომისარი ახლა თავის თანამდებობაზე არ არის?). არ არის, (შენგელაია: სასიამოვნოა).

შემდეგ მინისტრს მოჰყავს მთავრობის დადგენილება კლუბების და ზოგიერთი თეატრების დახურვის შესახებ და დაასკვნის, რომ ქართულ კლუბთან არ ებული თეატრი იყო კლუბის განყოფილება და მან გაიცადა კლუბის ბედი. რაც შეეხება კლუბის გამგის დაპატიმრებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ის დაპატიმრებულ იქნა როგორც კლუბის გამგე, როგორც პასუხისმგებელი პირი და ეს დაპატიმრება გამოიწვია მთავრობის დადგენილების დარღვევამ, რომელიც მოხდა კლუბის დარბაზში.

რაც შეეხება სიღნაღის სკოლის ვვარდიის მიერ დაკავებას, მე მართლაც გავიცი განკარგულება მისი განთავისუფლების შესახებ და დღეს პირველად მივიღე ტერ-სტეფანიანცისაგან, რომ ის განკარგულება სისრულეში არ არის მოყვანილი. ყოველ შემთხვევაში, მის შემდეგ ჩემთან არ მოსულა ტერ-სტეფანიანცი და არაფერი უთქვამს. ამ წვრილმანი კითხვის აქ გადმოტანა მაინც არ ღირდა. მე ვაცხადებ, რომ ყოველ დეპუტატს შეუძლია მოვიდეს სამინისტროში და თუ რაიმე ბოროტ მოქმედებას აღმოჩენს, დაუყოვნებლივ იქნება მიღებული ზომები. სამინისტროს კარები არ არის ღია ხხოლოდ იმ ფექლებისათვის, რომლებიც ბოროტმოქმედებს იცავენ. (ს. კედია: ეს ასეც უნდა იყოს).

აქ ბ. ლორთქიფანიძემ სთქვა, რომ სოც. დემოკრატია რამიშვილმა დაანგრია, ხოლო სოც.-დემოკრატია სახელმწიფოს ანგრევსო. ამის შესახებ მე უნდა განვაცხადო, რომ სოც. დემოკრატიის მიერ დაღუპული სახელმწიფო ჯერ არავის უნახავს და ვერც ოდესმე ნახავს (ტაში). ხოლო ესერებმა უკვე დაღუპეს ორი სახელმწიფო: ერთი რუსეთი და მეორე ერევანი. როდესაც სომხეთში ვოაციანს მიანდვეს კაბინეტის შედგენა, მე მაშინვე განუცხადე კერძო საუბარში მთავრობის ერთ ერთ წევრს: ახლა დაღუპა სომხეთი მეთქი. ჩემი სიტყვები გამართლდა.

აქ ბევრს ლაპარაკობენ პარტიული კაპიტალის შესაძენათ, მაგრამ მომავალი არჩევნებში ხალხი ყველა მათ და უმტკიცებს, თუ რა უნიადაგონი არიან ისინი და მთელ მათ გამოსვლებს სათანადოთ დაუფასებს. (ტაში)

შემდეგ ილაპარაკეს ნ. ჟორდანიამ, (რომლის სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ) ს. კედიამ და ალ. ასათიანმა.

შეტანილი იყო სოც. დემოკრატიული ფრაქციის მიერ წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მართო კ. ნინიძეა ჩაწერილი. მაშინ სოც. დემოკრატიულ ფრაქციიდან გაისმა ხმები: „მივცეთ ნინიძეს სიტყვაო“, მაგრამ ნინიძე დარბაზში არ აღმოჩნდა.

ეს ეყარა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წარდგენილ შემდეგ რეზოლიუციას:

„მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის განცხადება მთავრობის ნაწილობრივ განახლების შესახებ, დამფუძნებელი კრება კმაყოფილებას გამოსთქვამს და გადადის მორიგ საკითხზე“.

რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა მისცა ესერებმა, თავი შეიკავა—დემოკრატიულმა ფრაქციამ.

დეპეშები

(სპეციალური დეპეშათა სააგენტოს)

თებერვლის 10.

ფრანგული ცნობები

ლონდონის კონფერენცია.

ლიონი. 9 თებ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ-სიმონსმა საფრანგეთის რწმუნებულს გადაცა შემდეგი ნოტა: იღებს რა მხედველობაში იმ საუბარს, რომელსაც ჰქონდა ადგილი საფრანგეთის ელჩსა და გერმანიის საგარეო მინისტრის შორის, გერმანიის მთავრობა თანახმაა გაგზავნოს ლონდონის კონფერენციაზე პირველ მარტისთვის თავისი დელეგატები იმ იმედით, რომ მოლაპარაკება დაეყრდნობა იმ წინადადებაზე, რომლის წარდგენის უფლებასაც იტოვებს გერმანია.

ჰინდენბურგი.

ჰინდენბურგმა ბრემენში „მონათლა“ ახალი გემი, რომელიც მის სახელს ატარებს. ცერემონიას წმინდა რელიგიონური ხასიათი ქონდა. ქალაქი მონარქისტული დროშებით იყო მორთული.

კამათი ბრინის მოხსენების გამო.

კამათი ბრიანის მოხსენების შესახებ დეპუტატთა პალატაში მოხდა სამშაბათს. მოისმინეს შემდეგი ორატორები: ტავე, დე-მაგალოხი და კლოცი—მოლაპარაკებისა და ვერსალის ხელშეკრულების შესახებ, და ლუშერი განთავისუფლებულ ოლქების მინისტრი. პრემიერმა უპასუხა პალატის უკანასკნელ სხდომაზე ოთხშაბათს დღით. კლოცმა თავის სიტყვაში შეადარა ის თუ რა უნდა მიიღოს საფრანგეთმა გერმანიისაგან 1925 წლამდე, იმ ვალს, რომელიც უნდა მისცეს საფრანგეთმა ამერიკასა და ინგლისს. დასკვნა აშკარა იყო, როდესაც პრემიერმა შეაწყვეტინა მას და უთხრა: „როდესაც ომი დასრულდა თქვენ იყავით საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი და უეჭველია, იყავ თ მომხრე მიგვეცა ვალი მოკავშირეთათვის. ის თფილი სიტყვები, რომელიც მოისმინეთ თქვენ მაშინ, ადგილებენ ჩემი მიზნის მიღწევას. პარიზის კონფერენციაზე მოკავშირეთა შორის სრული თანხმობა ჩამოვარდა“. შემდეგი ორატორი იყო ლუშერი, რომლის სიტყვასაც პალატა დიდი ტაშისცემით შეხვდა.

გერმანული ცნობები

მუშათა პროტესტი.

ის სოციალისტები, რომლებიც ეკუთვნიან მუშათა დამცველ საერთაშორისო ასოციაციის გერმანულ ფრაქციას, ენერგიულ პროტესტს აცხადებენ მოკავშირეთა ძიერ ანაზღაურების მოთხოვნის გამო. მათის აზრით ანაზღაურების გამო მუშები და მოსამსახურეები საშინლად გაღატაკდებიან.

ზემო სილეზიაში.

ზემო სილეზიაში მყოფმა გერმანულმა საპლებისციტო კომისიამ მიიღო ცნობები 20 თუ 30 პოლონურ ბანდის არსებობის შესახებ. ყოველი ბანდა შედგება 5—7 კაცისაგან, რომელნიც ცდილობენ შექმნან ტერორი და ამგვარათ პლებისციტის შედეგებზე გავლენა მოახდინონ.

საქ. დეპ. საგარეოს საინფორმაციო განყოფილება

ირლანდიის გარშემო.

პარიზი. თანახმად „ეურნალ დე დებას“ ცნობისა ლონდონში კვლავ აღმოჩენილ შეთქმულება სინფეინერებისა, რომელთაც სურდათ წაეკიდათ ცეცხლი ნავთის დიდი საწყობისათვის. სამი სიმფეინერი დაიჭერეს სწორედ იმ დროს, როდესაც მათ ბოროტ მოქმედების ჩადენა სურდათ. ერთ მათგანს იარაღი აღმოჩნდა. შეტაკება ირლანდიელებისა და ინგლისის ჯარებს შორის კვლავ გრძელდება. შეტაკებას უფრო მეტი ხასიათი აქვს ქალაქ კორკში. ხშირია შემთხვევები ინგლისელ ჟანდარმებზე თავდასხმისა.

უუშვერობა.

ლუნდონი. 19 იანვარამდე შროშის ბირეაში 859,000 კაცმა იოხოვა სამუშაოვარის მიღება. მდგომარეობა პროვინციაში მეტად გართულებულია. მრავალი ქარხანა იხურება, რაც თანდათან ზრდის უმუშავართა რიცხვს.

სივაში.

პარიზი თანხმად სტამბოლიდან მოსული ცნობებისა ანგორის მთავრობას გადაუწყვეტია გადავიდეს სივაში. იმ შემთხვევაში, თუ ესკი-შეხირი ბერძნებმა აიღეს

ანგორა და მოსკოვი.

„ეურნალ დე დება“ იუწყება: ქემალისტებმა გადაწყვიტეს წარუდგინონ მოსკოვის კონფერენციას მოთხოვნილები, რათა ბალშევიკებმა დასტოვონ სომხეთი და ადერბეიჯანი.

გაფიცვის უარყოფა.

ვარშავა. მუშათა ორგანიზაციების საერთო კრებაზე, რომელიც იხილავდა საერთოდ მუშებისა და კერძოთ რკინის გზელთა მატერიალურ მდგომარეობას, გაირჩა საკითხი მუშათა გაფიცვის შესახებ.

კრებამ, წინადადება გაფიცვის გამოცხადების შესახებ, ერთხმად უარყო. ამ გადაწყვეტილებამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ფოსტის მოსამსახურეებზე, რომლებმაც გადასწყვიტეს უარეყოთ გამოცხადებული გაფიცვა და დაბრუნებოდნენ მუშაობას.

უკრაინის ლტოლვილები.

ლვოვი. გალიციის პრესა იუწყება: ტარნოპოლში და აღმოსავლეთ გალიციის სხვა ქალაქებში საკმაოთა უკრაინიდან 6000 ლტოლვილზე მეტი მოვიდა. ლტოლვილები გადმოგვცემენ იმ საშინელ წამებულ ტერორის შესახებ, რომელიც გამეფებულია მთელ უკრაინაში. ხშირია აგრეთვე გლეხთა აჯანყებები.

ამერიკის ჯარი.

ნიუიორკი. ამერიკის სენატმა წინააღმდეგ სამხედრო მინისტრისა 24 ხმის უმრავლესობით მიიღო წინადადება ამერიკის ჯარის 200,000 კაციდან 150,000 კაცამდე შემცირების შესახებ. ამასთან ვე, თანახმად ჰარდინგის პროექტისა, განზრახულია ყოველ წლიურათ შეასწავლონ სამხედრო ხელოვნება 100,000-მოხალისეს.

რუს. დამფ. კრების წევრები პარიზში.

პარიზი. „ეურნალ დე დება“ იუწყება: რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებმა ვრცლად განიხილეს საკითხი იმ განპირა სახელმწიფოებრივ ერთეულების შესახებ, რომლებიც გამოეყვენ რუსეთს. ამ საკითხის შესახებ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც თათბირის წევრები აღიარებენ, რომ განპირა ერთეულებს აქვთ უფლება მოითხოვონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამასთანავე რეზოლიუციაში გატარებულია ის აზრი, რომ მა[illegible] შევიზძის დამოობის შემდეგ ეს სახ[illegible] მწიფოები შეადგენენ რუსეთის ფე[illegible] რაციას.

ტერორისტების მზადება.

ნიუიორკი. [illegible] ტმა [illegible] ტერორ[illegible] [illegible] დონურივ და სახელმწიფოებრივ და [illegible] სებულებების ასაფეთქებლათ. ამის [illegible] მო ბალშევიკებს მკაცრ თვალ-ყ[illegible] ადევნებენ.

კრახინი

ბერლინი თანახმად მოსკოვიდან [illegible] სული ცნობებისა საბჭოთა მთავრო[illegible] წარმომადგენლათ ბერლინში ასახლ[illegible] კრასინს.

დეკრეტი გაფიცვის წინააღმდეგ.

პარიზი „ტანი“ იუწყება: საბჭ[illegible] მთავრობის დეკრეტით გამოცხადე[illegible] ლია, რომ ყველა ის გაფიცული მ[illegible] რომელიც არ დაემორჩილება დეკრ[illegible] და არ გამოცხადდება სამუშაოვ[illegible] დატუსაღებულ იქნება 5 წლამდე [illegible] მათ ოჯახებს წარმოებ[illegible] ულუფა.

ქალაქ ფაშა და ბერძნები.

სტამბოლი. 2 თებერ. თანახ[illegible] სმირნიდან მოსულ ცნობებისა ბერძ[illegible] აპირებენ 70,000-იან ლაშქრის შეკ[illegible] მცირე აზიაში ხელახალი შეტევის [illegible] საწყობათ. ოსმალეთი ბერძენთა ლ[illegible] ქრის დასახვედრათ ემზადება. ამ [illegible] თხვევაში, თუ ბერძნებმა მოახ[illegible] ტევა, ოსმალეთის ჯარები დაიხ[illegible] სახელმწიფოს შუაგულისაკენ, სა[illegible] მომამზადებენ ჯარებს წინააღმდეგ[illegible] გასაწევად.

ახალი კაბინეტი.

ათინა. 7 თებერ. შესდგა ახ[illegible] კაბინეტი კალოგეროპულოსის თავმჯ[illegible] მარეობით.

იტალიელი კომუნისტი ლენინის წინააღმდეგ

ხერრატის წერილი ლენინისადმ[illegible]

(დასასრული, იხ. „ერთობა“ № 31)

თქვენ ამბობთ, რომ იტალიის პ[illegible] ლეტარიატი განიცდის თავისი ინ[illegible] რაის უუმძიმეს ხანას და დანაშაულ[illegible] იქნებოდა, რომ ამ სიძნელეზე თვალ[illegible] დაგვეხუჭაო. მაგრამ იტალიაში საკ[illegible] მხოლოდ მოისურვო გულწრფელად [illegible] დარება ჩვენი საკუთარი ძალებისა [illegible] წინააღმდეგეთა ძალებთან, რომ თქ[illegible] „რეფორმისტი“ გიწოდონ; საკმაოა [illegible] დაძრათ იმ საწყუხარო შეცდომებ[illegible] რომლებიც თან ახლდა თქვენს რევ[illegible] ლიუციას,—ენა დაძრათ მხოლოდ [illegible] მიზნით, რომ მომავალში აცილებუ[illegible] იქნეს ასეთი შეცდომები, რომ წამ[illegible] მოგნათლონ კონტრ რევოლიუციონერ[illegible] საკმაოა მოიგონოთ ის სიძნელენი, [illegible] ბლების გადატანაც თქვენს რევოლ[illegible] ციას მოუხდა,—მოიგონოთ არა კრიტ[illegible] კის მიზნით, არამედ როგორც მაგალ[illegible] თი, რომ თქვენ წამ ვე დაგწამინ თქ[illegible] ნი რევოლიუციის გაკიცხვის სურვილ[illegible] ი, სანამდე მიდის წარმოუდგენელი [illegible] დგომილობა ზოგიერთ ამბახაგებისა, რ[illegible] ბლებიც საუკეთესო გრძნობებით არ[illegible] ალსავსენი, მაგრამ რომლებსაც [illegible] აქვთ განვითარებული სოციალისტუ[illegible] შეგნება.

თქვენ სრულიად სამართლიანად [illegible] ბოდით, რომ იმ შემთხვევაში, თუ იტ[illegible] ლიაში რევოლიუციი მოხდა, აუცილ[illegible] ბელი იქნება იტალიის ბლოკადა სა[illegible] რამგეთის, ინგლისისა და შეერთებ[illegible] შტატების მხრივ მაგრამ თქვენ ეს[illegible] გვპირდებით რევოლიუციის დაჩქარებ[illegible] ინგლისში და საფრანგეთში, თუ ჩ[illegible] ვიმოქმედებთ ისე, როგორც თქვენ მ[illegible] გეწონებათ. ჩვენა გვგონია, რომ თქ[illegible] ეწინააღმდეგები თქვენივე თავს.

ჩვენ ისევე კარგად ვიცნობთ დღევ[illegible] დელ საერთაშორისო მდგომარეობ[illegible] როგორც თქვენ,—ყოველ შემთხვევაშ[illegible] —დასავლეთ ქვეყნების მდგომარეობ[illegible] და ჩვენ ვიცით, რომ სამშუხაროდ, კ[illegible] მუნისტური პირტიები ჯერ კიდევ ვ[illegible] სარგებლობენ ისეთი გავლენით, რ[illegible] მელიც საშუალებას მისცემდა მათ ბ[illegible] ძლევანელობა გაეწიათ მასიურ მოძ[illegible] ობისთვის, რომ მათ შესძლონ დახმარ[illegible] ბა აღმოუჩინონ რევოლიუციას მეზობ[illegible] ქვეყნებში.

ინგლისში კომუნისტები ჯერაც [illegible] გაერთიანებულან. მათი რიცხვი 50 ათ[illegible] არ აღემატება; მათ არა აქვთ არც ე[illegible] თი ყოველდღიური გაზეთი, ხოლო ყ[illegible] ველგვარეული გამოცემანი სულს ღაფ[illegible] ვენ და არსებობენ ხხოლოდ თქვენ[illegible] დახმარებით. ეს არ არის ისეთი ძალ[illegible] რომელიც შესძლებს შიშის ზარი დ[illegible] ცეს თავის მოწინააღმდეგეებს.

საფრანგეთის პარტია ფროსარის [illegible] ველგვარ „თუ“-ებით, „მაგრამ“-ებით [illegible] და „შეიძლება“-თი ზრდილობის გულ[illegible] სათვის შეუართდება მე 3 ინტერნაც[illegible] წალს. მაგრამ შეუძლებელია

ჩვენთ ერთ წერტილზე გაყინვას, თუ პოზიციების სრულიად დატოვებას არა.

მე არას ვლაპარაკობ უნგრეთზე, სადაც მოძრაობამ გზა გაუხნა არასდროს არ ნახულ სუსხიან რეაქციას.

ყველგან ბურჟუაზია თავს სწვავს და ახდენს იაფის რიგების გადჯუფებას. ბალშევიზმმა დიდი სამსახური გაუწია ნაციონალისტებს. ბავარიაში მოხარჯის რეტავრაციაზე ლაპარაკობენ. ამაზევე ცოტა თუ ბევრად ლაპარაკობენ ხთელ გერმანიაში.

ასეთ საერთაშორისო სიტუაციის პირობებში იტალია, რუსეთი შეიდეგ, ერთად ერთი კვ ყანაა, რომელსაც სოციალისტური თვალთახედვით უკეთესად შეუძლია ბრძოლა აწარმოოს ბურჟუაზიის წ ნააღმდეგ; მას ჰყავს 250 000 შეკავშირებული სოციალისტი, 2 მილიონი პროფეციონალურ კავშირებში მუშები, 150 დეპუტატი პარლამენტში, აქვს 2,500 კომუნა, რომელიც პარტიამ დაიპყრო, და დიდძალი მომხმარებელი და საწარმოო კოოპერატივები.

და ამ პარტიაში თქვენ ცდილობთ, ამხანაგო ლენინო, დაანთოთ განხეოქილების ციცხლი თითქოს იმისთვის, რომ რევოლიუციონური საქმე გაკეთდეს. ნუთუ შესაძლებელია ასეთი შეცდომის დაშვება? ფიქრი იმაზე, რომ ტურატი და დ,არაგონა ხელს უშლიან რევოლიუციას,—არ არის მართალი; ასეთი აზრი მოვლენათა დაფასებაში ლრმა მისტიურ და ანარქ მარქ ისტულ შეხედულებებიდან გამომდინარეობს.

რევოლიუცია •არ არის ამა თუ იმ „ბელადის“ მაგიური აქტი; იგი შედეგია გარემოებისა და მთელ რიგ მიზეზებისა, რომლებიც მთლიანად ხელს უწყობენ მის წარმოშობას.

ეე არ გამორჩეოდა თქვენი წინადადება ჩვენი ორგან ზაციების ყველა ძველ ხელძღვანელების გადაყ ნეისა და მათ ალაგზე ახალ კომუნისტების დანიშვნის შესახებ; იტალიაში ეს შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან ჩვენში გამ

ცდილ მუშაკების დიდი ნაკლებობაა. შეიძლება, ის მოხდეს, რომ ბევრი განზრახ გამოაცხადებენ თავიანთ თავს კომუნისტებათ იმ მიზნით, რომ ალაგები მიიღონ. ამაში დიდი საფრთხეა დამალული.

